# ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
# სამანდატო, საპროცედურო საკითხთა
# და ეთიკის კომისია

ოქმი:**ო47. 47243383**

თარიღი:**03/12/2024**

**სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის**

**ოქმი N11**

**დ. ჩოხატაური 22 ნოემბერი 2024 წელი.**

**თავმჯდომარეობდ**ა: მარინე ბერაძე.

**ესწრებოდნენ**: დავით ტყეშელიაძე,დავით გუდავაძე, ზაალ მამალაძე, ჯუმბერ ბერძენიშვილი, ნოდარ ცხომელიძე;

**არ ესწრებოდნენ:** მაია გიორგაძე**,** ლაშა ირემაძე ,ბაია ძნელაძე, მარინე თავაძე, ბაჩო ახალაძე;

**ზაზა კაკურია -** საოქმო- სამდივნო მომსახურების განყოფილების უფროსი პეციალისტი;

**სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრეთ წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი შემდეგი ფორმულირებით:**

1.მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით (შუალედური) არჩეული საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

2.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ.

***აზრი გამოთქვა:*** მარინე ბერაძემ, ნოდარ ცხომელიძემ, დავით ტყეშელიაძემ ისინი დაეთანხმნენ დღის წესრიგის წარმოდგენილ პროექტს.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე _6

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა -0

(კენჭისყრას ესწრებოდა 6 წევრი)

**დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:**

1.მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით (შუალედური) არჩეული საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

***მომხსენებელი: მარინე ბერაძე***

2.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ.

***მომხსენებელი:მარინე ბერაძე***

**I საკითხი**

მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით (შუალედური) არჩეული საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

**<u>მოისმინეს :</u>**

1.მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით (შუალედური) არჩეული საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

***მომხსენებელი: მარინე ბერაძე***

**აზრი გამოთქვა:** სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო N62 ჩოხატაურის საოლქო საარჩევნო კომისიიდან გადმოგზავნილი, კენჭისყრის შემაჯამებელი ოქმი, ინფორმაცია ცესკოს ვებ გვერდზე შემაჯამებელი ოქმის შედეგების გაცნობის შესახებ და განმარტა, რომ მინდია დოლიძის როგორც საკრებულოს წევრის უფლებამოსილება ძალაში შევიდა 2024 წლის 22 ნოემბერს. ასევე შესთავაზა კომისიის წევრებს აღნიშნული განკარგულების პროექტის სათაურის დაზუსტება შემდეგი რედაქციით „ინფორმაცია მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით(შუალედური) არჩეული საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ“.

თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს განსხვავებული აზრი არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე _6

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 6 წევრი)

***<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>***

კომისიამ განიხილა მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით (შუალედური) არჩეული საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ საკითხი და გადაწყვიტა გადაეცეს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად შემდეგი დასათაურებით: „ინფორმაცია

მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით(შუალედური) არჩეული საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ“.

**II საკითხი**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ.

**<u>მოისმინეს :</u>**

2.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ.

***მომხსენებელი: მარინე ბერაძე***

**აზრი გამოთქვა:** აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს გააჩნია შემდეგი შენიშვნა:

ბიუჯეტის მე-17 და მე-19 მუხლები მოსაყვანია შესაბამისობაში ერთმანეთთან და რეკომენდებულია ერთ მუხლში გაერთიანება.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე _6

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 6 წევრი)

***<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>***

კომისიამ განიხილა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი და გადაწყვიტა, აღნიშნული შენიშვნების სისტემატიზაცია უზრუნველყოს საკრებულოს აპარატმა, რათა საკრებულოს თავმჯდომარემ 2025 წლის ბიუჯეტში გასათვალისწინებლად გადაუგზავნოს მუნიციპალიტეტის მერს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

მარინე ბერაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის
კომისია-კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი